არეული ასოების დაწყობა

მოსწავლეები დააწყობენ არეულ ასოებს იმგვარად, რომ მიიღონ ილუსტრაციის შესაბამისი სიტყვა.



კლასი: I

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური/წყვილები/მთელი კლასი.

რესურსი: სურათიანი ბარათები; ასოებიანი ბარათები, რომლებიც საჭიროა სურათზე გამოსახული საგნის/მცენარის/ცხოველის და ა.შ. ასაწყობად.

მსვლელობა

- მასწავლებელი წინასწარ დაფაზე გააკრავს ნახატს და სთხოვს მოსწავლეებს, წარმოთქვან, რა არის მასზე გამოსახული, შემდეგ კი ჩამოთვალონ ამ სიტყვაში შემავალი ბგერები.
- მას შემდეგ, რაც მოსწავლეები ჩამოთვლიან, მასწავლებელი დაფაზე მიაკრავს ამავე სიტყვის ასოებს არეულად.
- მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, კიდევ ერთხელ, ნელა წარმოთქვან ბგერები, თავად კი, პარალელურად, თითო ბგერის წარმოთქმისას, აწყობს ასოებს დაფაზე სწორი თანამიმდევრობით.
- მოდელირების შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს სხვა ნახატებს და სთხოვს, იგივე გააკეთონ სხვა სიტყვებზეც.

ნიმუში



შენიშვნა: შესაძლებელია, აქტივობა წარიმართოს წყვილებში - ერთ-ერთმა მეწყვილემ დაასახელოს ნახატზე გამოსახული სიტყვა, ხოლო მეორემ სწორად დაალაგოს ასოები. შეიძლება აქტივობას მიეცეს შეჯიბრის სახე და გამარჯვებული იყოს ის გუნდი, რომლის წყვილებმაც ყველაზე მოკლე დროში მოახერხეს ასოების სწორი თანამიმდევრობით დალაგება.